უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 47

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 05/09/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:15 სთ
სხდომის დამთავრების დრო 18:06 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
სხდომის მდივანი - ლევან გორდეზიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**

2. გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)**

3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **(სხდომის მდივანი)**;

5. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

6. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

8. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

10. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;

11. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I,II,III
2	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I,II,III
3	ნანა დისამინჯია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I,II,III
4	ანა თოფურია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კურიკულუმის ექსპერტი	I,II,III
5	მარიამ კიკნაველიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I,II,III
6	ქეთევან ბოიკო	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე	I,II,III
7	გიორგი ვეშაპიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I,II,III
8	ერეკლე მაღრაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I,II,III
9	მაიკლ სანდერსი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I,II,III
10	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
11	ლალი მეკოკიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	IV
12	თამარ გიორგობიანი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

13	ეკატერინე ყიფიანი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი	IV
14	ნინო სიხარულიძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მედიცინის სწავლებისა და შეფასების კოორდინატორი	IV
15	თამარ გამსახურდია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი	V, VI, VII
16	მურთაზ კვირკვია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ვახტანგ ბალავაძე		I
2	ალექსანდრე წაქაძე		I
3	გიორგი მეშველიანი	Skype	I
4	ნანი არაბული	Skype	II, III
5	მანანა ხაჩიძე		II, III

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

(ინგლისურენოვანი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამოქალაქო ინჟინერია

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2	სტატუსი[2]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„--------„
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	„--------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0732
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	252
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0162 ქ. თბილისი, №3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------“

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

---

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

მაკა ლაშხია

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ბალავაძემ განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 10 ივლისს. მისი თქმით, პროგრამამ ძალიან ბევრი პროცედურა გაიარა. სწავლის შედეგები უფრო მეტად დაიხვეწა, რადგან დაწესებულებამ მათი გაუმჯობესებისათვის იმუშავა სან დიეგოს უნივერსიტეტთან ერთად. სამოქალაქო ინჟინერიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ლაბორატორიის არსებობა. შესაბამისად, ექსპერტებმა აღნიშნულ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. ლაბორატორიები იყო სრულიად ახალი და კარგ მდგომარეობაში. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარტს.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომ ექსპერტებს რეკომენდაციები არ ჰქონდათ და მისთვის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის სპეციალისტების პოზიტიური დამოკიდებულება ცხადი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტი, რომელშიც ეს პროგრამა შედის, ფასეულად მიიჩნევდა იმ რჩევებს, რაც გაუზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. თვითონ პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის შექმნილია სან დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას ☑

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ საბჭოს შესთავაზა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე და მესამე საკითხი ერთად განხილულიყო, რადგან იგი ორივე ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	კომპიუტერული ინჟინერია
2	სტატუსი[11]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2017 წლის 18 ივლისი №44
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	კომპიუტერული ინჟინერია
5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

10	კვალიფიკაციის კოდი[16]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო, 0162 ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა 3/5
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 18 ივლისი

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	კომპიუტერული ინჟინერია
2	სტატუსი[20]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 07 თებერვალი, №28
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	კომპიუტერული ინჟინერია
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„----------„

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	-
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო, 0162 ქ. თბილისი, №3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 07 თებერვალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

მაკა ლაშხია

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

---

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 14 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული ვიზიტი განხორციელდა მონიტორინგის რეჟიმში, რომლის საფუძველიც იყო 2017 წლის 18 ივნისის №11 ოქმი, სადაც გათვალისწინებულია საბჭოს შუამდგომლობა პროგრამის მონიტორინგით შემოწმების თაობაზე. ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა იმ აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე, რეკომენდებული იყო, რომ გაზრდილიყო საათების რაოდენობა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის ადმინისტრაციას, ხელმძღვანელობას და სტუდენტებს. შეამოწმეს პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. ვიზიტის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები აღარ ჰქონდა. ასევე, მან დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტის სტატუსით ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტზეც მონაწილეობდა ორ უცხოელ ექსპერტთან ერთად. მისი განმარტებით, მონიტორინგის შედეგად რაც ნახეს, ნამდვილად საინტერესო და სასარგებლო იყო პროგრამის განვითარებისთვის. ექსპერტის მითითებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიერა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. გარდა ამისა, აღნიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტის პერსონალს სან დიეგოში ჰქონდა გავლილი გადამზადება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. მიუხედავად იმისა, რო ეს მიმართულება ქართულ ბაზარზე შედარებით ახალია, მისი შეფასებით პროგრამის მიზნები, შედეგები და შეფასების სისტემა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ მათ კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონიათ.

სათათბირო შესვენება

მიუთითეთ შესვენების დაწყების დრო 16:43

დამთავრების დრო 17:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას ☑

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ინგლისურენოვანი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

2. საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას ☑

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე:10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	სამოქალაქო ინჟინერია
2	სტატუსი[29]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„--------„
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	„--------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	0732
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	252
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, 0162 ქ. თბილისი, №3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი;
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------“

4. მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	მედიცინა
2	სტატუსი[38]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 28 სექტემბერი, №126

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	„---------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	ერთსაფეხურიანი პროგრამა
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0901
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	365
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო, 0141, ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, სასწავლო კორპუსი №1
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 20 სექტემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 6 თვე (2019 წლის 20 მარტი) მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2019 წლის 20 მარტი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 20 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

---

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სერგო ჭელიძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულების ანგარიში დაწესებულებამ წარადგინა ჯერ კიდევ მარტში. აღნიშნული პროგრამა არ იყო ახალი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უცხოელი იყო და გაითვალისწინეს მისი რეკომენდაციები. უნივერსიტეტს დარგობრივი მახასიათებლის შემქმნის შემდეგ ევალებოდა პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამას ეს პროცესი, ნაწილობრივი ინტეგრაცია, უკვე დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ მაისის თვეში. თუმცა, ის რეკომენდაციებიც გათვალისწინებულ იქნა.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ არსებობდა ისეთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ არ მიიღო და არ გაითვალისწინა?

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი რეკომენდაცია არ არსებობდა. გარდა ამისა, ხაზი გაუსვა, რომ ჩასაბარებელი საგნები მოიცავდა ფიზიკას, ქიმიასა და ბიოლოგიას. თუმცა, ქართველი სტუდენტების უმეტესობა აბარებდა ბიოლოგიას. უცხოელმა ექსპერტმა ასეთი კითხვა დაუსვა მათ, თუ როგორ შეამოწმებდა საგანმანათლებლო დაწესებულება უცხოელ სტუდენტებში ამ საგნების ცოდნის დონეს. ის აღნიშნავდა, რომ თუ სტუდენტს არ აქვს კომპეტენცია თუნდაც ქიმიაში, უკეთესი იქნებოდა ასეთი სტუდენტი არ ჩაერიცხათ პროგრამაზე. თუმცა, დაწესებულება სხვაგვარად მოიქცა. მათ მიერ ჩაბარებული საატესტატო გამოცდების მიხედვით განისაზღვრა. ვისაც არ ჰქონდა ქიმია ჩაბარებული, მათთვის სპეციალური ინტენსიური კურსები ჩანიშნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი მეკოკიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტებმა ურჩიეს მოეწესრიგებინათ ქიმიისა და ბიოლოგიის საკითხი, გადაწყდა ინტენსიური კურსი ჩასმულიყო პროგრამაში. რადგან სახელმწიფო რეგულაცია მომავალი წლიდან ამოქმედდება, უცხოელი და ქართველი სტუდენტები შეიძლებოდა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ. თუმცა, როდესაც აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება, მაშინ უფრო მკაცრად იქნება გათვალისწინებული ეს საკითხი. პროგრამაზე ბიოქიმიის საფუძვლები იწყება სამეცნიერო ქიმიის ნაწილით, რომელიც აძლევს პირველკურსელებს შესაძლებლობას, რომ გარკვეული საბაზო ცოდნა მიიღონ. ინსტიტუციას უნდოდა, რომ ეს რექტორის ბრძანებით გაემყარებინა, თუმცა დაელოდნენ სწორედ ამ რეგულაციის ამოქმედებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ სავალდებულო ჩასაბარებელი საგნები იქნება ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური, ბიოლოგია, ხოლო მეოთხე

საგანი იქნება ქიმია, ფიზიკა ან/და მათემატიკა. მეოთხე საგნის ვალდებულება იქნება მედიცინაში, სტომატოლოგიასა და ფარმაციაში და არჩეული იქნება ამ სამი საგნიდან. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციასთან დაკავშრებით პასუხი იმ დოკუმენტაციაშია, რომელიც მოაწოდეს საბჭოსა და ცენტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი მეკოკიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ეს ანგარიში საბჭოს დასკვნის საფუძველზე მომზადდა. ინსტიტუცია ეცადა ჩამოეყალიბებინა ის საქმეები, რაც საბჭოზე არ იქნა ჩამოყალიბებული. კერძოდ: 1. სწავლისა და სწავლების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პერსონალის გადამზადება, რადგან თანამედროვე სწავლების მეთოდები არ შეიძლება მხოლოდ ფურცელზე არსებობდეს. 6 თვის განმავლობაში კადრები გადამზადდნენ. ტრენინგები ჩატარდა OSCE-ში და სხვა პროფესიულ სფეროებში. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ 6 თვის შემდეგაც გაგრძელდება ტრენინგები. პროგრამაში ჩართულია ასევე უცხოელი პროფესორიც, რომელიც ძალიან აქტიურია პროგრამის განვითარებაში. ეს პროცესი დაიწყო მისი გარე ექსპერტობით, ახლა კი მონაწილეობს კურიკულუმის შედგენაში, ასევე PBL ქეისების შემუშავებაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კლინიკური უნარების შემოწმებისთვის OSCE-ს დანერგვა და განვითარება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. OSCE თავდაპირველად იყო 8 სადგურიანი, ახლა კი არის 12 სადგურიანი. მოხდება ამ გამოცდის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, რაც ნიშნავს, რომ რესურსი დაიზოგება. მისი თქმით, ელექტრონული პროგრამა 14 ოქტომბერს ამოქმედდება და გამოიყენება OSCE-ს გამოცდის ჩასატარებლად. OSPE ახლაც მიმდინარეობს პროგრამაზე. ამ სემესტრში 139 უცხოელ სტუდენტს ჩაუტარდა OSCE-ის გამოცდა. ასევე ემატება ახალი სართული, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ორი OSCE ერთად ჩატარდეს და გაიზარდოს პროცესის გამტარიანობა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ის რაც დაწესებულების წარმომადგენლებმა ახსენეს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. არის კიდევ ერთი კომპეტენცია, რომელიც არ იყო მოცემული წინა სხდომაზე. ესაა პროფესიონალიზმის შეფასება. ამას ჯერ არ ექცევა ყურადღება, თუმცა ურჩია, რომ მხოლოდ ამით ნუ შემოიფარგლებიან, მუდმივად განავითარონ პროგრამა და მიაქციონ ყურადღება.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დაწესებულებას მიმართა კითხვით იქნებოდა თუ არა საკმარისი ეს ინტენსიური კურსი ქიმიაში, იმისთვის, რომ ისწავლო ასეთ ფაკულტეტზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი მეკოკიშვილმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი, თუმცა ეს იქნებოდა მათთვის, ვისაც არ ექნება ჩაბარებული ქიმია. თუმცა, იმ რეგულაციიდან გამომდინარე სავალდებულოდ ალბათ ვერ იქნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდება იმ ყველაფრის შესწავლა, რაც საშუალო სკოლაში უნდა ესწავლა სტუდენტს, თუმცა მიუთითა იმაზე, რომ შერჩეულ იქნა ისეთი საბაზო საკითხები, რომ სტუდენტმა შეძლოს ქიმიის შესავლის ათვისება.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ სკოლიდან მოსულს ისეთი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, რომ მისი ჩაბარება შეეძლოს.

სათათბირო შესვენება

მიუთითეთ შესვენების დაწყების დრო - 17:30

დამთავრების დრო 17:40

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები ერთად იქნას განხილული.

5. მეხუთე საკითხი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. მეექვსე საკითხი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. მეშვიდე საკითხი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)
2	სტატუსი[47]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 30 ნოემბერი, №179
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	„------„

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო, 0159 ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი[54]	2018 წლის 30 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[55]	ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 3 თვე (2019 წლის 28 თებერვალი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 30 ნოემბერი

6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[56]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	სტატუსი[57]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 30 ნოემბერი, №180

[56] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[57] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[58]	„-------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[59]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[60]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[61]	„------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[62]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[63]	საქართველო, 0159 ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი[64]	2018 წლის 30 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[65]	ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 3 თვე, 2018 წლის 28 თებერვალი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 30 ნოემბერი

7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[66]	ბიზნესის ადმინისტრირება

[58] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[59] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[60] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[61] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[62] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[63] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[64] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[65] აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, რომლის საფუძველზეც მიენიჭა ანგარიში/მონიტორინგი

[66] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2	სტატუსი[67]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 12 ოქტომბერი №129
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[68]	„-------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[69]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[70]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[71]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[72]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[73]	საქართველო, 0159 ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი[74]	2018 წლის 12 ოქტომბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[75]	ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 6 თვე (2019 წლის 12 აპრილი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 12 ოქტომბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

---

[67] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[68] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები და რჩევები ყურადღებით იქნა განხილული. დაწესებულებამ რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაითვალისწინა. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა იყო ის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პრაქტიკას, კერძოდ, ექსპერტებმა დაწესებულებას ურჩიეს, რომ მე-4 სემესტრში არსებული პრაქტიკა გადმოსულიყო მე-3 სემესტრში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმსჯელეს ამასთან დაკავშირებით. სილაბუსის მიხედვით გაწერილია, რომ პარალელურად ხდება ნაშრომზე მუშაობა და პრაქტიკის გავლა. ეს მიღებული გამოცდილებაა და აქამდე არ შეუქმნია პრობლემა. შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ ყოფილიყო ისე, როგორც არის. დანარჩენი რეკომენდაციები მაგისტრატურის დონეზე გათვალისწინებულ იქნა. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ კიდევ ერთხელ დაისვას ეს საკითხი განხილვაზე. ძირითადად საუბარი იყო ისეთ რეკომენდაციებზე, როგორებიცაა დოქტორანტებს ჰქონოდათ საერთაშორისო აღიარებული რეფერირებადი ჟურნალების სია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ გაანალიზეს რუსთაველის ფონდის ინფორმაცია.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ მიმართა დაწესებულებას კითხვით თუ ერთ სემესტრშია სამაგისტრო ნაშრომი და პრაქტიკა, რამდენი კრედიტი აქვს თითოეულს და რამდენად გამოდის ეს ორივე სემესტრში?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო სემესტრში არის 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი და 10 კრედიტიანი პრაქტიკა. თუმცა, ამის მიუხედავად, მაგისტრანტებისთვის არ ირღვევა წლიური 60 კრედიტიანი ლიმიტი. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამა დაახლოებით 10 წელია ასე ფუნქციონირებს და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის არ შეუშლია სტუდენტებისთვის ხელი. მისი თქმით, ხშირად, როდესაც სტუდენტები თემატიკაზე მუშაობენ, მათ ეხმარებათ პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილება. მე-3 სემესტრში პრაქტიკის არსებობა მიზანშეუწონლად მიაჩნიათ, რადგან ნაშრომი ემსახურება პრაქტიკული გამოცდილების გადმოტანას. დაკვირვებიდან გამომდინარე ეს არ უშლის ერთმანეთს ხელს. ჯერ იქნება პრაქტიკის კომპონენტის ანგარიშის წარდგენა, ნაშრომს კი სტუდენტები მე-19 კვირის ბოლოს იცავენ. წარმომადგენელმა აღნიშნა ისიც, რომ მაგისტრანტების მთლიან

სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გამოკითხვისას, მათი მხრიდან არ ყოფილა წამოჭრილი რაიმე პრობლემა ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძე იკითხა, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ იღებდა დადებით შეფასებას პრაქტიკის კომპონენტში?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომის დაცვა ხდება მაშინ, როდესაც მაგისტრანტს ყველა კრედიტი აქვს იქამდე შესრულებული. ასევე, ანგარიშის დაწერის შემდეგ ენიჭება კრედიტი პრაქტიკის კომპონენტშიც.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი პრაქტიკას გადის, სილაბუსში იქვე უნდა იყოს მითითებული წინაპირობები. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ მესამე სემესტრში გავლილი ორი საგანი წერია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა იმაზე, რომ მხოლოდ ორი საგანი წერია, რადგან ამ საგნებსაც, თავის მხრივ, გააჩნია წინაპირობები და შემდეგ ეს აკინძვის პრინციპით ხდება. ყველა სავალდებულო კრედიტი არის ის, რაც სტუდენტს პრაქტიკამდე უნდა ჰქონდეს გავლილი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა უწყობენ თუ არა ხელს პრაქტიკას იმის გათვალისწინებით, რა თემაც აქვთ არჩეული სამაგისტრო ნაშრომისთვის, აქვს თუ არა პროგრამას საშუალება დაფაროს პრაქტიკის ყველა ის სფერო, რა მიმართულებითაც სამაგისტრო ნაშრომები უნდა შესრულდეს და აქვს თუ არა ანაზღაურება პრაქტიკის ორგანიზაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული პრაქტიკის ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მაგისტრანტს მითითებული აქვს. თუმცა, პრაქტიკის განმავლობაში სიღრმისეულ ინფორმაციას მაგისტრანტი იღებს სწორედ იმ სფეროში, რომელზეც მუშაობს სტუდენტი, მაგალითად მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ. არსებობს 40-45-მდე პრაქტიკის ობიექტი. ზოგიერთი ობიექტი ანაზღაურებულია, ზოგს თვითონ სჭირდება კადრები.

სათათბირო შესვენება

მიუთითეთ შესვენების დაწყების დრო 18:01
დამთავრების დრო 18:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამაზე, წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე **ქეთევან ქოქრაშვილი**

სხდომის მდივანი **ლევან გორდეზიანი**